DCFTA შეთანხმების შედეგად ამოქმედებული შეღავათები და ევროკავშირში აგრო პროდუქტის ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების ურთიერთკავშირი

მერი ოთარაშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად“

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიეროხელმძღვანელი: სალომე დანელია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მერი ოთარაშვილი, 17.06.2024“

აბსტრაქტი

ასოცირების შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). 2014 წლიდან, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ შეთანხმების რატიფიცირებიდან, საქართველოში წარმოებული აგრო პროდუქტი, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისას, შესაბამისი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისას განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან. ხოლო, სატარიფო კვოტა მოქმედებს მხოლოდ ერთ აგრო პროდუქტზე, კონკრეტულად ნიორზე.

შეთანხმების ძალაში შესვლიდან რვა წელი გავიდა, მიუხედავად, დროის ხანგძლივობისა ქართველი მეწარმეებისთვის ძირითად საექსპორტო არეალად აგრო პროდუქტის მიმართულებით კვლავ დსთ-ს ქვეყნები რჩება. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა და ემსახურება ქვეყნებს შორის სავაჭრო, პოლიტიკურ მხარდაჭერას. მისი წევრები, ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი სახელმწიფოები არიან. საქართველომ აღნიშნული გაერთიანება 2009 წელს დატოვა, თუმცა წევრ სახელმწიფოებთან დღემდე აქტიური სავაჭრო ურთიერთობა აქვს. თემის აქტუალობიდან გამომდინარე საინტერესო და მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გამოვლენა, რომელთა ზეგავლენითაც ფერხდება აგრო პროდუქტის ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ბაზარზე. საკითხი დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დადგა მას შემდეგ რაც 2023 წლის 14 დეკემბერს საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რის ფონზეც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველომ გააღრმავოს სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან. აგრო პროდუქტის ფართო ასორტიმენტიდან შეირჩა სამი, ინდივიდუალური მახასიათებლებით გამორჩეული პროდუქტი, ესენია: თაფლი, თხილი და სხვა კაკალი, ყურძნის ნატურალური ღვინოები. თითოეულ მათგანს აქვს პოტენციალი გახდეს წამყვანი საექსპორტო პროდუქტი და პოზიტიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე.

ნაშრომზე მუშაობისას საკითხის საფუძვლიანად დამუშავების მიზნით ჩატარებულ იქნა სამაგიდე კვლევა. დამუშავდა თემის გარშემო არსებული სამეცნიერო და აკადემიური ლიტერატურა. სტატისტიკური ციფრები მკითხველს საშუალებას მისცემს დროში დააკვირდეს საკითხთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მონაცემებს, რაც იძლევა საფუძვლიანი ანალიზის შესაძლებლობას.

კვლევის შედეგები კი მთავარ კითხვას გასცემს პასუხს, თუ რა ფაქტორების ზეგავლენით ფერხდება აგრო პროდუქტის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე. შედეგები მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ბიზნეს სფეროში მოღვაწე პირისთვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისთვის, რომელსაც სურს გაიგოს DCFTA შეთანხმებიდან რვა წლის შემდეგ რატომ ვერ ახერხებს ქართველი მეწარმე მაქსიმალურად ინტეგრირდეს ევროკავშირის ბაზარზე.

საძიებო სიტყვები: DCFTA, აგრო პროდუქტი, ექსპორტი, მეწარმე, ევროკავშირი, დსთ.

Abstract

Benefits implemented as a result of the DCFTA agreement and interrelationship of factors hindering the export of agricultural products in the EU.

The master's thesis covers the topical issue of what environmental factors prevent the full integration of the DCFTA agreement in the Georgian trade sector. An important part of the Association Agreement is the Deep and Comprehensive Trade Agreement with the European Union. In order to concretize the research, three Georgian agro products were selected, which are distinguished by different criteria. These products are: honey, nuts, wine. Eight years have passed since the entry into force of the agreement, despite the length of time, The CIS country still remain the main export area for Georgian enterpreneurs in the direction of agricultural products.

During the work on the Master's thesis a desk research was conducted, which ensured a through analysis of the mentioned topic and the identification of problematic issues.

The results of the research will answer the main question of what factors affect the export of agricultural products to the EU market.